დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის“ მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: დავით კუპატაძე
წევრი:
ალექსანდრე კეკენაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **თავისუფალი ხედვის აკადემია**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შპს**

საიდენტიფიკაციო კოდი: **406460235**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2026 წლის 31 იანვარს MES 1 26 0000095996 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2026 წლის 09 თებერვალს განხორციელა ვიზიტი შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში, (მის: ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. თავისუფალი ხედვის აკადემიამ 2025 წლის 30 დეკემბერს ცენტრს მიმართა განაცხადით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მაღალი მომართვიანობის გამო. დაწესებულება 2025 წლიდან ახორციელებს „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიულ პროგრამას მისამართზე - ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50. პროგრამაზე კონტიგენტის გაზრდის მიზნებისთვის დაწესებულებამ უზრუნველყო სასწავლო ფართის (ოთახის) გაფართიება, რის საფუძველზედაც სურს პროფესიულ პროგრამაზე არსებული (40 პროფესიული სტუდენტი) კვოტის გაზრდა 24 პროფესიული სტუდენტით, სულ 64 პროფესიული სტუდენტი იმიტირებული სწავლების ფორმით. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ბრძანებებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. 2026 წლის 04 თებერვალს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. 2026 წლის 09 თებერვალს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი თავისუფალი ხედვის აკადემიაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სათანადო დოკუმენტაციებს, გაესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო. ვიზიტის დასასრულს, ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	40	36	----	1

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები
I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებას წარმოდგენილი ქონდა არსებული კვოტის გაზრდა 24 პროფესიული სტუდენტით, ჯამში 64 პროფესიულ სტუდენტზე. ადგილზე, ექსპერტთა ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ B სასწავლო გარემოში (ოთახი 213) განთავსებული 28 პერსონალური კომპიუტერი, ვერ უზრუნველყოფს 64 პროფესიული სტუდენტის გატარებას, შესაბამისად ექსპერტები არ ეთანხმებიან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კვოტის გაზრდას 24 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა შეფასებით ამ ეტაპზე ლოგიკურია კვოტის გაზრდა 16 პროფესიული სტუდენტით, ჯამში 56 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. N50
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	64
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	36
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	56
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ■

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, მისამართზე ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. N50 (40 პროფესიული სტუდენტი). საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ კვოტის გაზრის შემთხვევაში საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, პროგრამისთვის გამოყოფილია:

1. ორი A სასწავლო გარემო, თითოეული 20 პროფესიული სტუდენტზე. ერთი A სასწავლო გარემო განთავსებულია დაწესებულების პირველ სართულზე - ოთახი 109 და მეორე A სასწავლო გარემო განთავსებულია დაწესებულების მეორე სართულზე, ოთახი 214, ორივე ოთახი აღჭურვილია გადასაწევი სკამით 20-20 პროფესიული სტუდენტისათვის, 1 მონიტორით, 1 მინი კომპიუტერით და 1 პრინტერით. ორივე A სასწავლო გარემო გამოიყენება როგორც „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული პროგრამისთვის, ასევე „აღმზრდელის“ პროფესიული პროგრამის განხორციელებიათვის.

2. ერთი A/B სასწავლო გარემო – 28 პროფესიულ სტუდენტზე, განთავსებულია დაწესებულების მეორე სართულზე, ოთახი 213. A/B სასწავლო გარემო აღჭურვილია: 7 ოთხკაციანი მაგიდით, 28 პერსონალური კოკმპიუტერით, ერთი მაგიდა კომპიუტერის დაშლა-აწყობისათვის და სხვა დარგობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მანიპულაციის შესრულებისთვის, 1 მასწავლებლის მაგიდით, 1 მასწავლებლის პერსონალური კომპიუტერით, 1 პრონტერით და 1 მონიტორით. აღნიშნული A/B სასწავლო გარემო გამოიყენება 3 პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის.

დაწესებულებას წარმოდგენილი ქონდა არსებული კვოტის გაზრდა 24 პროფესიული სტუდენტით, ჯამში 64 პროფესიულ სტუდენტზე. ადგილზე, ექსპერტთა ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ A/B სასწავლო გარემოში (ოთახი 213) განთავსებული 28 პერსონალური კომპიუტერი, ვერ უზრუნველყოფს 64 პროფესიული სტუდენტის გატარებას, შესაბამისად ექსპერტები არ ეთანხმებიან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კვოტის გაზრდას 24 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა შეფასებით ამ ეტაპზე ლოგიკურია კვოტის გაზრდა 16 პროფესიული სტუდენტით, 2 ცვლიანი სწავლების შემთხვევაში 2 ჯგუფის მიღება - ჯამში 56 პროფესიული სტუდენტი.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (მეოთხე დონე) დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 8 პროფესიული განათლების მასწავლებელთან; დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 9 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის დაწესებულებს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი და მათი დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს, კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამას დანართად ახლავს განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია. პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობის, სასწავლო გეგმის და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი 2.2.1.2 დამაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დანართით წარმოდგენილი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ინფორმაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პირადი საქმეები, სერტიფიკატები და დადგინდა, რომ პირებს უდასტურდება შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები, მათთან გასაუბრებით და პირადი საქმეების ანალიზით დადგინდა, რომ: წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს; პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ მათ აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია და ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში.

ინდიკატორი 2.2.1.3 დამაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ აკადემიის ხელმძღვანელის 2026 წლის 06 თებერვლის N01/13 ბრძანებით განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს და ზრუნავს პროგრამის განვითარებაზე, იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

ინდიკატორი 2.2.1.4 დამაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით შემოწმდა პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით. ბიბლიოთეკართან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს როგორც დაწესებულების ტერიტორიიდან, ასევე გარე სივრციდანაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის, სადაც განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ სასწავლო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ელექტრონული სახელმზღვანელოებითა და სამკითხველო დარბაზით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო რესურსი კი იძლევა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის საშუალებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დამაკმაყოფილებულია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული „სსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესის მე-7 მუხლით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: სასწავლო რესურსების დროულად და ადეკვატურად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სასწავლო რესურსების ადაპტაცია სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებებისა და სირთულეების შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის საჭიროების შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და სასწავლო რესურსების ადაპტაციის გეგმის შემუშავება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფთან კოორდინაციით (პედაგოგი, სპეციალური პედაგოგი, და სხვა შესაბამისი პირები). წესის თანახმად, დაწესებულება იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს: სასწავლო მასალის ადაპტაცია სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად (მაგალითად, ტექსტი დიდი შრიფტით, აუდიო/ვიდეო ვერსია, მარტივ ენაზე მომზადებული ვერსია, ბრაილის შრიფტი და ა.შ.); პედაგოგები ვალდებული არიან წინასწარ გაეცნონ სსსმ პირის სასწავლო რესურსების გამოყენების სპეციფიკას და მოახდინონ შესაბამისი ადაპტაცია სასწავლო პროცესში. სპეციალური მასწავლებელი აფასებს სსსმ სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს სასწავლო რესურსებთან მიმართებაში; უზრუნველყოფს შესაბამისი ადაპტირებული სასწავლო მასალების შერჩევას და შემუშავებას, მათ შორის ალტერნატიული ფორმატების (ბრაილის შრიფტი, აუდიო მასალა, მარტივი ენა და სხვა) გამოყენებას; თანამშრომლობს პედაგოგებთან, ბიბლიოთეკარებთან და IT პერსონალთან სასწავლო რესურსების ადაპტაციისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით; აფასებს ადაპტირებული რესურსების ეფექტურობას. დაწესებულებას მომსახურების ხელშკრულებით დასაქმებული ჰაყვს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე არ ჰყავს სსსმ პროფესიული სტუდენტი

ინდიკატორი 2.2.1.6 დამაკმაყოფილებულია

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის კომპიუტერული ,,ქსელი და სისტემები“ შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 10 პროფესიული სტუდენტი. შემოსავლების ნაწილში შედის: ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯების ნაწილი მოიაზრებს: მასწავლებლების ანაზღაურების, ადმინისტრაციის ანაზღაურების, ნედლეული და მასალის; დიპლომის/დანართის გაცემის; კომუნალური გადასახადების, იჯარის და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს.

ინდიკატორი 2.2.1.7 დამაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;
- ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები.
- „სსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

06.03.2026

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: